პარასკევის ქადაგება

م2024/7/26 / هـ١٤٤٦/١/٢٠

სათაურით

დაუდევრობისგან გაფრთხილება

პატივცემული შეიხ
დოქტორი

აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

a-alqasim.com

დაუდევრობისგან გაფრთხილება

ქება - დიდება ალლაჰს, ჩვენ მას ვადიდებთ, მას ვთხოვთ შეწევნას და პატიებას, ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულებისა და საქმეების სიავისგან. ვისაც ალლაჰი დაადგენს სწორ გზაზე, მას არ ჰყავს გზის ამბნევი, ხოლო ვისაც ის აუბნევს გზას, მას არ ჰყავს სწორ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის, მისი ოჯახი და მისი საჰაბები უამრავი დალოცვით .

ამის შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მონებო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი ჩუმად და აშკარად .

ალლაჰმა წარმოგზავნა შუამავლები, რათა გამოეყვანათ ხალხი სიბნელიდან სინათლეში და ვინც უპასუხა მათ გამოვიდნენ ჭეშმარიტი გზის სინათლეში, ხოლო ვინც არ უპასუხა - დარჩნენ უმეცრობის სიბნელეში და დაავიწყდათ საკუთარი თავი სრულად.

რელიგიისა და საიქიო ცხოვრების დავიწყება, ყოველი უბედურების საფუძველი. ის არის გულების უდიდესი ავადმყოფობათაგან, რომლის გამოც იქნა მონისთვის აკრძალული ამქვეყნიური და საიქიო სიკეთეები, და ყოველი ნეტარების სიტკბოება რაც მათშია, და არ შევა ნაკლოვანებით მონა თუ არა თავისთვის განკუთვნილ

კარებში .

და უკვე აიღო აღთქმა უწმინდესმა ღმერთმა ადამის შვილთაგან, რომ ის მათი ღმერთი და მათი ერთადერთი სათაყვანებელია, იმის გამო, რომ შემდეგ უყურადღებობით არ გაემართლებინათ თავი, ბრძანა დიდებულმა:

﴿وَإِذْ أَخَذَ رَبُّكَ مِنْ بَنِي آدَمَ مِنْ ظُهُورِهِمْ ذُرِّيَّتَهُمْ وَأَشْهَدَهُمْ عَلَى أَنْفُسِهِمْ أَلَسْتُ بِرَبِّكُمْ قَالُوا بَلَى شَهِدْنَا أَنْ تَقُولُوا يَوْمَ الْقِيَامَةِ إِنَّا كُنَّا عَنْ هَذَا غَافِلِينَ﴾

„აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა განა მე არ ვარ თქვენი ღმერთი? უთხრეს: დიახ ვამოწმებთ, რომ არ ეთქვათ აღდგომის დღეს ჩვენ არ ვიცოდითო.“. (ალ-ა’რაფ: 172)

და გარდმოავლინა დიდებულმა წმინდა ყურანი მათთვის აუცილებელ მტკიცებულებად, ბრძანა უწმინდესმა:

﴿وَهَذَا كِتَابٌ أَنْزَلْنَاهُ مُبَارَكٌ فَاتَّبِعُوهُ وَاتَّقُوا لَعَلَّكُمْ تُرْحَمُونَ ۞
أَنْ تَقُولُوا إِنَّمَا أُنْزِلَ الْكِتَابُ عَلَى طَائِفَتَيْنِ مِنْ قَبْلِنَا وَإِنْ كُنَّا عَنْ دِرَاسَتِهِمْ لَغَافِلِينَ﴾

„და ეს წიგნი რომელიც გარდმოვავლინეთ დალოცვილია. მიჰყევით მას და გეშინოდეთ, რათა შეწყალებულ იქნეთ* რომ არ ეთქვათ გარდმოვლენის იქნა წიგნი მხოლოდ ორ ჯგუფზე ჩვენზე უწინ და რომ ჩვენ უცოდინარნი ვიყავით მათი სწავლებისადმიო.“ (ალ-ანამ: 156–155)

ალლაჰმა აუკრძალა შუამავალს ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, რომ არ ყოფილიყო უყურადღებო და თქვა:

﴿وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِلِينَ﴾

„ნუ იქნებით უყურადღებონი“. (ალ-არაფ: 205)

და ალლაჰის შუამავალი ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას შეეფარებოდა ალლაჰს მისგან სიტყვით:

„ო, ალლაჰ შეგეფარები უძლურებისგან, სიზარმაცისგან, სიძუნწობისგან, მოხუცებულობის სისუსტობისგან, უხეშობისაგან და უყურადღებობისგან“. (გადმოსცა იბნ ჰიბბანმა)

ალლაჰმა უბრძანა მის შუამავალს ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, რომ გაეფრთხილებინა ხალხი წინასწარ, რომ არ ეგემათ სიმწარე მათი უყურადღებობისთვის:

﴿وَأَنْذِرْهُمْ يَوْمَ الْحَسْرَةِ إِذْ قُضِيَ الْأَمْرُ وَهُمْ فِي غَفْلَةٍ وَهُمْ لا يُؤْمِنُونَ﴾

„და შეაგონე ისინი სინანულის დღით, როცა საქმე გადაწყვეტილი იქნება, მაგრამ ისინი უგულისხმონი არიან და არ სწამთ“. (მარიამ: 39)

და ამცნო წმინდა ალლაჰმა ადამიანებს ანგარიშსწორების მოახლოება, რათა გამოფხიზლდნენ უგულისხმობისგან:

﴿اقْتَرَبَ لِلنَّاسِ حِسابُهُمْ وَهُمْ فِي غَفْلَةٍ مُعْرِضُونَ﴾

„მოუახლოვდა ადამიანებს ანგარიშსწორება, ისინი კი უგულისხმობაში არიან და ურჩობენ“. (ალ-ანბია: 1)

და გაკიცხა ალლაჰმა ვინც ნათლად იციან

ამქვეყნიური ცხოვრება და უგულისყურონი არიან საიქიო ცხოვრების მიმართ:

﴿يَعْلَمُونَ ظَاهِرًا مِنَ الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَهُمْ عَنِ الْآخِرَةِ هُمْ غَافِلُونَ﴾

„მათ იციან მხოლოდ ცხადი მხარე ამქვეყნიური ცხოვრებიდან, საიქიოს მიმართ კი უგულისხმონი არიან“. (არ-რუმ: 7)

მთელი უმმათი იქნა მოწყვეტილი გაფრთხილებისგან, და იქნა მიტოვებული მათგან შეხსენება და ჩავარდნენ უგულისყურობაში;

﴿لِتُنْذِرَ قَوْماً مَا أُنْذِرَ آباؤُهُمْ فَهُمْ غَافِلُونَ﴾

„რათა შეაგონო ხალხს, რომელთა მამებიც არ შეგონებულან, რამეთუ ისინი იყვნენ უგულისხმონი“. (იასინ: 6)

და ამცნო ალლაჰმა, რომ ხალხის უმრავლესობა უგულისყურონი არიან აიათების მიმართ:

﴿وَإِنَّ كَثِيراً مِنَ النَّاسِ عَنْ آياتِنا لَغَافِلُونَ﴾

„ჭეშმარიტად, მრავალი ადამიანი ჩვენი აიათებისადმი უგულისხმოა“. (იუნუს: 92)

უგულისყურობის მიზეზებიდან არის: ამ ქვეყნიურობის სიყვარული, მასზე მინდობა და საიქიოზე წინ მისი სიყვარულის დაყენება, ბრძანა უწმინდესმა:

﴿ذَلِكَ بِأَنَّهُمُ اسْتَحَبُّوا الْحَياةَ الدُّنْيا عَلَى الْآخِرَةِ وَأَنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الْكَافِرِينَ * أُولَئِكَ الَّذِينَ طَبَعَ اللَّهُ عَلَى قُلُوبِهِمْ وَسَمْعِهِمْ وَأَبْصَارِهِمْ وَأُولَئِكَ هُمُ الْغَافِلُونَ﴾

„ეს იმის გამო, რომ მიწიერი საიქიოზე მეტად შეიყვარეს, და ჭეშმარიტად, ალლაჰი არ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე ურწმუნო ხალხს. წორედ ესენი არიან, რომელთაც ალლაჰმა დაუშხო გულები, სმენა და თვალები და მათ უგულისხმონი არიან“.(ან-ნაჰლ: 108–107)

თქვეს ზოგიერთმა მმართველებმა:

„ვინც ამ ქვეყანას გაუაზრებლად შეხედა, მისი გულის ხედვა ისევე დაბინდდება, როგორც ის უგულისყურობაა.“

განრიდება ყურანის კითხვისა და ალლაჰის ხსენებისგან, იწვევს უგულისყურობას და გულის სიკვდილს, თქვა შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მას :

„მსგავსება იმის, ვინც ახსენებს თავის ღმერთს და ვინც არ ახსენებს, მსგავსია ცოცხალის და მკვდრისა“. (შეთანხმებაა მასზედ)

რის შედეგიც არის პარასკევის ლოცვების მიტოვება სიზარმაცით თუ უგულისყურობით; თქვა ალლაჰის შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას :

„ხალხი, რომელმაც მიატოვა პარასკევის ლოცვები, ალლაჰი ბეჭედს დასვამს მათ გულებზე და შემდეგ ისინი იქნებიან უგულისყურონი“. (გადმოსცა მუსლიმმა)

უგულისყურო საზოგადოების უგულისყურო მემკვიდრეობაა, რაც უკვე აკრძალა წმინდა ალლაჰმა მათთან ურთიერთობა, მათზე მორჩილება ან მათგან რაიმის მიღება, და ბრძანა ალლაჰმა

﴿وَلَا تُطِعْ مَنْ أَغْفَلْنَا قَلْبَهُ عَنْ ذِكْرِنَا﴾

„და არ დაემორჩილო მათ, ვისი გულიც უგულისხმოდ ვაქციეთ ჩვენი ხსოვნისადმი“. (ქაჰფ: 28)

თავის მოტყუებიდან არის ის, რომ მონა აკეთებს ცუდ საქმეს და ხედავს მას როგორც კარგს; და ფიქრობს რომ ეპატია, ალბათ დაინახა სხეულის და ქონების უსაფრთხოება; და იფიქრა რომ არ არის მასზე სასჯელი, და ვერ გაიგო, რომ მისი უგულისყურობა იმ უდიდეს სასჯელთაგანია, რითაც დაისაჯა ის, ბრძანა წმინდა ალლაჰმა :

﴿سَنَسْتَدْرِجُهُمْ مِنْ حَيْثُ لَا يَعْلَمُونَ﴾

„ნელ-ნელა მიგვყავს დათუპვისაკენ, ისე, რომ ვერც კი ხვდებიან“. (ალ-ა’რაფ: 182)

თქვა იბნ ქასირმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „მისი მნიშვნელობა არის: რომ ის უხსნის მათ სარჩოს კარებს და საარსებო წყაროს ამ ქვეყნად, სანამ არ იქნებიან ცდუნებულნი იმით, რაც აქვთ მათ მასში და ფიქრობენ რომ მათ, რაღაც არიან.“

უგულისყურობისგან თავის დაცვა დიდებული საქმეა; ღვთისმოსავი მონა მიაღწევს მას, მაგრამ მან მალევე უნდა მიაქციოს ყურადღება - გაიხსენოს და მოინანიოს, ბრძანა დიდებულმა :

﴿إِنَّ الَّذِينَ اتَّقَوا إِذَا مَسَّهُمْ طَائِفٌ مِنَ الشَّيطَانِ تَذَكَّرُوا فَإِذَا هُمْ مُبْصِرُونَ﴾

„ჭეშმარიტად რომელნიც ღვთისმოშიშნი არიან, თუ კი

ეშმაკის ცდუნება მიეკარებათ, გაიხსენებენ და კვლავაც იქნებიან მხედველნი“. (ალ-ა’რაფ: 201)

უგულისყურობიდან გამოღვიძება სიკეთის პირველი გასაღებია და ის მიიღწევა ალლაჰისა და მისი შუამავალის ბრძანებებზე მორჩილებით, ბრძანა დიდებულმა :

﴿يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا اسْتَجِيبُوا لِلَّهِ وَلِلرَّسُولِ إِذَا دَعَاكُمْ لِمَا يُحْيِيكُمْ﴾

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ, შეისმინეთ ალლაჰის და მისი შუამავლის როცა გიხმობენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს მოგცემთ“. (ალ-ანფალ: 24)

და მისგან გამოღვიძება შეიძლება დიდებული ალლაჰის წიგნის კითხვით;

﴿هَذَا بَيَانٌ لِلنَّاسِ وَهُدًى وَمَوْعِظَةٌ لِلْمُتَّقِينَ﴾

„ეს არის განმარტება ადამიანებისთვის და ჭეშმარიტი გზა და შეგონება ღვთისმოშიშთათვის“. (აალ იმრან: 138)

დაიცავით ხუთი დროის ლოცვები, რაც გადაგარჩენთ მისგან, თქვა ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას: „ვინც დაიცვა ეს ხუთი დროის სავალდებულო ლოცვები არ ჩაიწერება უგულისყუროთა შორის“. (გადმოსცა იბნ ხუზაიმამ)

ღამის ლოცვა და ათი აიათი არის უგულისყურობისგან გასუგთავება, თქვა ალლაჰის შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას: „ვინც იღოცა ნებაყოფლობითი ღამის ლოცვა და წაიკითხა ათი აიათი არ ჩაიწერება უგულისყუროთა შორის“. (გადმოსცა აბუ დაუდმა)

ყურანის და სუნნას წრედ გაკეთება და ცოდნის მიღებისთვის დაჯდომა შლის უგულისყურობას გულებიდან; ბრძანა დიდებულმა:

﴿وَاصْبِرْ نَفْسَكَ مَعَ الَّذِينَ يَدْعُونَ رَبَّهُمْ بِالْغَدَاةِ وَالْعَشِيِّ يُرِيدُونَ وَجْهَهُ وَلَا تَعْدُ عَيْنَاكَ عَنْهُمْ تُرِيدُ زِينَةَ الْحَيَاةِ الدُّنْيَا﴾

„დაიმორჩილე შენი სული მათთან ერთად, რომელნიც ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილიდან საღამომდე და ილტვიან მისი წყალობისაკენ და არ აარიდო თვალი მათ ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოების სურვილით“. (ქაჰფ: 28)

თქვა იბნ ყაიმმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ზიქრისთვის დაჯდომა ანგელოზებთან ერთად დაჯდომაა, ხოლო გართობისა და უგულისყურობისთვის დაჯდომა ეშმაკთან ერთად დაჯდომაა, დაე, მონამ აირჩიოს ამ ორიდან ის რაც მას მოსწონს, და ამ ორთაგან რომელია პირველი მისთვის და ის მათთაგანი იქნება ამქვეყნადაც და საიქიოშიც“.

უგულისყურობა არის წინაღობა მონასა და მის ღმერთს შორის, და ალლაჰის ხსენება შლის იმ წინაღობას და აძევებს ეშმაკს, თქვა დიდებულმა :

﴿وَاذْكُرْ رَبَّكَ فِي نَفْسِكَ تَضَرُّعًا وَخِيفَةً وَدُونَ الْجَهْرِ مِنَ الْقَوْلِ بِالْغُدُوِّ وَالْآصَالِ وَلَا تَكُنْ مِنَ الْغَافِلِينَ﴾

„და გულში ახსენე შენი ღმერთი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგულისყუროთაგანი“. (ალ-ა’რაფ:

205)

ღვთისმსახურებების შესრულება ისეთ დროებში, როცა ადამიანები ულისყუროდ არიან - ეს ის მდგომარეობაა, რაც გადაგარჩენს უგულისყურობისგან; თქვა უსამა იბნ ზაიდმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: "ვუთხარი ო, ალლაჰის შუამავალო ვერ დაგინახე მარხულობდე მთელი თვე ისე, როგორც მარხულობ შა'ბანის თვეში, შუამავალმა უპასუხა: ,,ეს არის თვე, რომელშიც ხალხი უგულისყურობს, რაჯაბსა და რამადან შორის“. (გადმოსცა ან-ნასაიმ)

მონანიება გულის გასუფთავების მიზეზი და უგულისყურობისგან გადარჩენაა; თქვა შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას:

,,ჭეშმარიტად მონამ როცა ჩაიდინა ცოდვა გაჩნდება მის გულში შავი წერტილი. და თუ მან სწრაფად ითხოვა პატიება და მოინანია - გაწმენდილი იქნება მისი გულიც“.

ეს იმას ნიშნავს, რომ გაიწმინდება გული იმ შავი წერტილისაგან (გადმოსცა თირმიზიმ)

სიკვდილი უსიტყვო დარიგება არის; თქვა ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას :

,,მე აგიკრძალეთ სასაფლაოების მონახულება, მაგრამ მოინახულეთ ისინი, რომ მათი მონახულება შეხსენება იყოს“.(გადმოსცა აბუ დააუდმა)

ხშირად გახსენება სიკვდილის გულის გამოსასწორებელია და უგულისყურობისგან დაცვა; თქვა ალლაჰის შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას :

„ხშირად გაიხსენეთ სიტკბოების დამანგრეველი - ესე იგი სიტკბოების მომკვეთი - რაც ნიშნავს სიკვდილს“. (გადმოსცა აჰმადმა)

სატანა უთვალთვალებს უგულისყურო მონას მანამ, სანამ არ დაუფარავს გულს და დაუბრმავებს მას, იქნება მისი უგულისყურო გული სატანის თავშესაფარი, და ვინც უგულისყურო დარჩა ალლაჰის მიმართ; დაისაჯა გონების განადგურებით, და განშორებულ იქნა ალლაჰისა და მის აიათის შეცნობისაგან, და ჭეშმარიტების ცთომილებიდან განსხვავებაში, ბრძანა წმინდა ალლაჰმა :

﴿سَأَصْرِفُ عَنْ آيَاتِيَ الَّذِينَ يَتَكَبَّرُونَ فِي الْأَرْضِ بِغَيْرِ الْحَقِّ وَإِنْ يَرَوْا كُلَّ آيَةٍ لَا يُؤْمِنُوا بِهَا وَإِنْ يَرَوْا سَبِيلَ الرُّشْدِ لَا يَتَّخِذُوهُ سَبِيلًا وَإِنْ يَرَوْا سَبِيلَ الْغَيِّ يَتَّخِذُوهُ سَبِيلًا ذَلِكَ بِأَنَّهُمْ كَذَّبُوا بِآيَاتِنَا وَكَانُوا عَنْهَا غَافِلِينَ﴾

„და მოვაცილებ ჩემს აიათებიდან იმათ, ვინც ქედმაღლობს ქვეყანაზე უსამართლოდ, რომელთაც ყველა სასწაულიც რომ იხილონ არ ირწმუნებენ და რომ დაინახონ გზა სიმართლისა, არ აირჩევენ მას სავალად, ხოლო თუ დაინახავენ ცოდვის გზას, ირჩევენ სავალად, ეს იმიტომ რომ ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები და იყვნენ მათ მიმართ უგულისხმონი“. (ალ-არაფ: 146)

როცა უგულისყურობა გაძლიერდება, მისი პატრონი ვერ იგებს, ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ აზროვნებს.

﴿لَهُمْ قُلُوبٌ لَا يَفْقَهُونَ بِهَا وَلَهُمْ أَعْيُنٌ لَا يُبْصِرُونَ بِهَا وَلَهُمْ آذَانٌ لَا يَسْمَعُونَ بِهَا أُولَئِكَ كَالْأَنْعَامِ بَلْ هُمْ أَضَلُّ أُولَئِكَ هُمُ الْغَافِلُونَ﴾

„მათ გულები აქვთ და ვერ იმეცნებენ მისით, თვალი აქვთ და მერ ხედავენ მისით, ყურები აქვთ და ვერ ისმენენ მათით, ისინი პირუტყვებს ჰგვანან, მაგრამ მათზე გზააბნეულები არიან. და სწორედ რომ ისინი არიან უგულისყურონი“. (ალ-ა’რაფ: 179)

და ის ალლაჰის შურისძიების და მონის განადგურების მიზეზია, ბრძანა ყოვლად ქებულმა და დიდებულმა :

﴿فَانْتَقَمْنَا مِنْهُمْ فَأَغْرَقْنَاهُمْ فِي الْيَمِّ بِأَنَّهُمْ كَذَّبُوا بِآيَاتِنَا وَكَانُوا عَنْهَا غَافِلِينَ﴾

„ჩვენ შური ვიძიეთ მათზე და დავახრჩეთ ისინი ზღვაში იმის გამო, რომ არ ირწმუნეს ჩვენი აიათები და იყვნენ მათ მიმართ უგულისხმონი“. (ალ-არაფ: 136)

და აღუთქვა ალლაჰმა უგულისხმონთ ცეცხლი; და ბრძანა დიდებულმა:

﴿إِنَّ الَّذِينَ لَا يَرْجُونَ لِقَاءَنَا وَرَضُوا بِالْحَيَاةِ الدُّنْيَا وَاطْمَأَنُّوا بِهَا وَالَّذِينَ هُمْ عَنْ آيَاتِنَا غَافِلُونَ * أُولَئِكَ مَأْوَاهُمُ النَّارُ بِمَا كَانُوا يَكْسِبُونَ﴾

„ისინი ვისაც ჩვენთან შეხვედრას არ იმედოვნებენ, კმაყოფილი არიან წუთისოფლით და მშვიდდებიან მისით, და ისინიც, ვინც არიან ჩვენი აიათებისადმი უგულისხმონი * ეს ის ხალხია, ვისი თავშესაფარიც ჯოჯოხეთია იმის გამო, რაც მოიხვეჭეს“. (იუნუს: 8–7)

განკითხვის დღეს გამოჩნდება დახურული თავსაბური მათ გულებზე, და გაიაზრებენ რის უარმყოფელნიც იყვნენ

﴿لَقَدْ كُنْتَ فِي غَفْلَةٍ مِنْ هَذَا فَكَشَفْنا عَنْكَ غِطاءَكَ فَبَصَرُكَ الْيَوْمَ حَدِيدٌ﴾

„და შენ იყავი უგულისყურო ამის მიმართ და აგხადეთ შენს წინ არსებული ფარდა და ახლა შენი თვალები უფრო გამჭრიახია“. (ყაფ: 22)

ისინი დარჩნენ უგულისხმონი და ნანობენ ამას:

﴿وَاقْتَرَبَ الْوَعْدُ الْحَقُّ فَإِذَا هِيَ شَاخِصَةٌ أَبْصَارُ الَّذِينَ كَفَرُوا يَا وَيْلَنَا قَدْ كُنَّا فِي غَفْلَةٍ مِنْ هَذَا﴾

„და მოახლოვდა ჭეშმარიტი აღთქმა და მაშინ მათ, ვინც უარყო, მზერა გაუშტერდებათ. ვაი ჩვენ: ჩვენ ამის მიმართ უგულისხმობაში ვიყავით! დიახ უსამართლონი ვიყავითო“. (ანბია: 97)

და როცა შევლენ ცეცხლში, მათ კიდევ ერთხელ დამწუხრდებიან მათ უგულისყურობაზე

﴿وَقَالُوا لَوْ كُنَّا نَسْمَعُ أَوْ نَعْقِلُ مَا كُنَّا فِي أَصْحَابِ السَّعِيرِ﴾

„და იტყვიან: რომ შეგვესმინა ან მოგვეხმო გონებისთვის არ ვიქნებოდით ცეცხლის ბინადარნი“. (მულქ: 10)

და ამის შემდეგ:

და უყურადღებომ არ იცის უყურადღებობის შესახებ: ბრძანა დიდებულმა:

﴿وَمَا رَبُّكَ بِغَافِلٍ عَمَّا تَعْمَلُونَ﴾

„ და არ არის შენი ღმერთი უყურადღებო იმის მიმართ რასაც აკეთებთ“. (ან-ნამლ: 93)

უბედურების შემკრებია: უგულისყურობა და ვნება;

უგულისყურობა ალლაჰის და საიქიო ცხოვრების მიმართ ის არის, რაც ხურავს სიკეთის კარს, ხოლო ვნება გამხსნელია კარის, ყოველი უბედურების, და რამდენადაც გული შორსაა ალლაჰისგან, უფრო სწრაფად ფუჭდება ის და რამდენადაც უფრო ახლოსაა ალლაჰთან შორსაა ის გაფუჭებისგან; ალლაჰისგან სიშორეს აქვს საფეხურები, და ისინი ერთმანეთზე უფრო უარესია, არ არის შველა ცოდვის უბედურებისაგან თუ არა უგულისყურობისგან გაქცევით.

შევეფარები ალლაჰს ქვით ჩასაქოლი ეშმაკისაგან

﴿فَفِرُّوا إِلَى اللَّهِ إِنِّي لَكُمْ مِنْهُ نَذِيرٌ مُبِينٌ﴾

„იჩქარეთ ალლაჰისკენ! მე ვარ თქვენთვის ცხადი შემგონებელი“. (ზაარიათ: 50)

ალლაჰმა ბარაქა მოგვცეს ყურანში მეც და თქვენც...

მეორე ქადაგება

დიდება ალლაჰს მისი სიკეთისთვის, მადლობა მას წარმატებისა და დახმარებისთვის. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი მის დიდებულ საქმეში, და ვამოწმებ, რომ მოციქული მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს მას, მის ოჯახს და ყველა მის საჰაბას უამრავი მისალმებით.

ჰეი მუსლიმებო:

სატანის შესასვლელი მონაზე არის უგულისყურობიდან, ვებებიდან და გაბრაზებიდან, გულის დაჟანგვა ხვდება უგულისყურობით და ცოდვით, და მისი მოშორება შეიძლება პატიების თხოვნით და ზიქრით. გულის სიჯამრთელის ნიშანია: რომ ის ჯერ კიდევ მის პატრონს ესაუბრება მანამ, სანამ არ მოინანიებს ალლაჰის წინაშე და შეეფარება მას .

ვინც არ უყურებს თავის ქმედებებს, მისი დრო გაქრება და სინანული მოიმატებს. გამოასწორე ის, რაც დაგრჩა, ხოლო ვინც გამოასწორებს, რაც დარჩენილა, ეპატიება მას წარსული. ბრძენი ის არის, ვინც თავისი სულის წინაშე დგას. შეუძლია რომ თავის სულს მოსთხოვოს ანგარიში და გაკიცხავს მას, შეუძლია თავის გზის გამოსწორება, შეცდომების გამოსწორება და ღამით იმა მოქმედებების გადახედვა, რასაც ის აკეთებდა დღის განმავლობაში, თქვა იბნ ჰიბბანმა ალლაჰმა შეიწყალოს: „საუკეთესო ბრძენნი

არიან ისინი, ვინც გამუდმებით მსჯელობენ თავიანთ თავზე.“

შემდეგ იცოდეთ, რომ ალლაჰმა გიბრძანათ დალოცოთ და მიესალმოთ მის შუამავალს..

خطبة الجمعة

٢٠/١/١٤٤٦هـ / 2024/7/26م

بعنوان

التحذير من الغفلة

لفضيلة الشيخ

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

مترجمة باللغة الجورجية

a-alqasim.com